Funded by
the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries



# ეკოეტიკეტები და ხარისხის ნიშნები საქართველოში



## ინფორმაცია მწარმოებლებისათვის

## ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებში

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

# პირველი ტიპის ეკოეტიკეტები საქართველოში

- ეკოეტიკეტები საქართველოში არცთუ ისე გავრცელებულია. ისინი მხოლოდ იმპორტირებულ პროდუქტებზე შეგიძლიათ ნახოთ.

- საქართველოში არსებული რამდენიმე საერთაშორისო და რეგიონალური ეკოეტიკეტი:
  - TCO - საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქტებისათვის (ეკოეტიკეტი ტიპი I)
  - ევროკავშირის ეკოეტიკეტი (Ecolabel) შემდეგი პროდუქტებისათვის: დასუფთავების საშუალებები, ბეჭდური მასალა, პირადი ჰიგიენის საშუალებები, ელექტრონული მოწყობილობები, ქსოვილები, იატაკის საფარი, საღებავები და ლაქები. (ეკოეტიკეტი ტიპი I)
  - ტყის სერთიფიკაციის დამტკიცების პროგრამა (PEFC), მაგ.:ქაღალდის პროდუქტებისათვის. (ტიპი I ეკოეტიკეტის მსგავსი)
  - და სხვები.

# ეკოეტიკეტების მსგავსი ხარისხის ნიშნები საქართველოში





# პროდუქციის ეტიკეტირება, მაგ.: გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები (გმო)

- საქართველოში არ არსებობს I ტიპის ეკოეტიკეტირების სისტემა, სამაგიეროდ არსებობს პროდუქციის ეტიკეტირების ეროვნული სისტემა.

- კანონი აწესებს გარკვეულ მოთხოვნებს სხვადასხვა პროდუქტზე, პროცესსა და მომსახურებაზე, მაგ.: გარკვეული სასურსათო პროდუქტები, ღვინო, ქიმიური ნივთიერებები და სხვ. ასევე შეიძლება მოთხოვნები იყოს დაწესებული სავალდებულო სიმბოლოებზე, შეფუთვასა და ეტიკეტებზე, პროდუქტთან დაკავშირებული სხვადასხვა პროცესებსა და წარმოების მეთოდებთან დაკავშირებით.

- მაგ.: გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) პროდუქტებს სავალდებულოა ჰქონდეს კანონით რეგულირებადი ეტიკეტები.

# ქართული ხარისხის  ნიშნები

- 2019 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წარადგინა ქართული ხარისხის ნიშნები. იგი მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის პროდუქტების ეტიკეტირებას.
- 11 სხვადასხვა სახის ხარისხის ნიშანი არსებობს. ამ ნიშნების გამოყენება ნებაყოფლობითია.

# ქართული ხარისხის ნიშნები

- დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა
- ტრადიციული პროდუქტი
- დაცული ადგილწარმოშობის დასახელება
- ქართული ხარისხი
- მთის პროდუქტი
- ტყეში ნასუქი
- ბალახით ნაკვები
- ბიოწარმოებაზე გარდამავალი
- ბიოპროდუქტი
- ხელით დამზადებული
- პირდაპირი დაწურვის წვენი

# როგორ გავაკეთოთ განაცხადი ხარისხის ნიშნის მისაღებად?

- ქართველ ბიზნესოპერატორებს შეუძლიათ მიმართონ სურსათის ეროვნულ სააგენტოს (სეს) და მათ უსასყიდლოდ მიენიჭებათ ხარისხის ნიშანი, თუ ისინი აკმაყოფილებენ ყველა ტექნიკურ რეგულაციას და მოთხოვნას.

- განაცხადის დოკუმენტები: განაცხადის ფორმა, შიდა კონტროლი და ლაბორატორიის დასკვნა, პროდუქტის შემადგენელი ინგრედიენტების სია, გამოყენებული ინგრედიენტებისა და შეფუთვის სერთიფიკატი და/ან აკრედიტებული ლაბორატორიის დასკვნა; მზა პროდუქტისათვის - ლაბორატორიის დასკვნა, სახელმწიფო ინსპექტირების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ტექნოლოგიური დამუშავებისა და პირობების აღწერა, გამოყენებული სტანდარტები, საკვების ეტიკეტის ნიმუში; ბიოპროდუქტებისათვის - აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული სერთიფიკატი.  ლაბორატორიის ტესტირების ღირებულება ანაზღაურდება.

- სურსათის ეროვნული სააგენტოს შეფასებისა და შესაბამისი ხარისხის ნიშნის მინიჭების შემდგომ, სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ რეგულარულად მოახდინონ ხარისხის კონტროლი. შესაბამისი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ხარისხის ნიშანი ექვემდებარება გაუქმებას.

- მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებსაიტს (ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე): https://mepa.gov.ge/Ge/Page/Standards/

# მაგ: გრინ კაუკაზუსი (Green Caucasus)

გრინ კაუკაზუსი არის სერთიფიცირებისა და ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც 2008 წელს ერთობლივად შემუშავდა და იმართება  ორი დამოუკიდებელი კერძო კომპანიის -სომხური კომპანია „ეკოგლობის“ და ქართული კომპანია „შპს კავკასსერტის“ მიერ.

ეს ნიშანი შეიძლება მიენიჭოს  შემდეგი კატეგორიის ბიოპროდუქტებს:

- დაუმუშავებელი მცენარეული პროდუქტები (მცენარეული პროდუქცია და შეგროვილი ველური მცენარეები) - A
- ცოცხალი ცხოველები და დაუმუშავებელი ცხოველური პროდუქტები (მათ შორის თაფლი) – B
- სოფლის მეურნეობის გადამუშავებული პროდუქტები, რომლებიც საკვებად გამოიყენება (მათ შორის ორგანული ღვინო) – D
- ვეგეტატიური გამრავლების მასალები და თესლები კულტივირებისათვის – F

# დამატებითი ინფორმაცია და რეკომენდაციები


- “A guide to ecological labels in Georgia”. EU4Enviornment, 2021.
- “Assessment of existing eco-labelling systems in Georgia”. EU4Enviornment, 2021.
- Green Caucasus label, n.d. http://caucascert.ge/en/green-caucasus [15.12.2022].
- Environmental Information and Education Centre, Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, 2022. www.mepa.gov.ge [15.12.2022].
- “Guidelines for Providing Product Sustainability Information”. United Nations Environment Programme, 2017. https://www.oneplanetnetwork.org/knowledge-centre/resources/guidelines-providing-product-sustainability-information [15.12.2022].

Funded by
the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

www.eu4environment.org

© 2023 UNEP. All rights reserved. Licensed to the European Union under conditions.

#StrongerTogether

#EasternPartnership